

შპს გალაქსი კონსტრაქშენ

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

შპს გალაქსი კონსტრაქშენ

შინაარსი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	3
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	17
5. ძირითადი საშუალებები	18
6. არამატერიალური აქტივები	19
7. ფული და ფულის ექვივალენტები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
9. მარაგები	20
10. სესხები	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
12. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	21
13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	21
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
15. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	22
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	22
17. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	22
18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა	23
19. ფუნქციონირებადობა	25
20. ბალანსის შემდგომი მოვლენები	25

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გალაქსი კონსტრაქშენის ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს გალაქსი კონსტრაქშენის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ - შესაბამისად. ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი. ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-342289)

ლევან პაპიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-387992)

30 სექტემბერი, 2021 წელი

შპს გალაქსი კონსტრაქშენ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>				
ძირითადი საშუალებები	5	5,979,776	5,810,436	210,978
არამატერიალური აქტივები	6	2,170	2,170	2,137
სულ გრძელვადიანი აქტივები:		5,981,946	5,812,606	213,115
<u>მიმდინარე აქტივები</u>				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	96,930	144,720	1,115,811
საგადასახადო აქტივი		869,444	452,772	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	17,884	138,100	463,978
მარაგები	9	7,187,334	4,585,383	5,706,566
სულ მიმდინარე აქტივები:		8,171,592	5,320,975	7,286,355
სულ აქტივები:		14,153,538	11,133,581	7,499,470
კაპიტალი და ვალდებულებები				
<u>კაპიტალი</u>				
საწესდებო კაპიტალი		276,400	276,400	276,400
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		1,926,899	3,712,748	2,014,218
სულ კაპიტალი:		2,203,299	3,989,148	2,290,618
<u>ვალდებულებები</u>				
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>				
სესხები	10	4,200,814	4,609,552	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		4,200,814	4,609,552	-
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>				
მოკლევადიანი სესხები	10	2,427,343	839,078	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,322,082	1,695,803	5,197,702
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	11,150
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		7,749,425	2,534,881	5,208,852
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,153,538	11,133,581	7,499,470

დირექტორი: დავით სილაგავა -----

30.09.2021

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	12	1,014,671	5,368,455
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(678,648)	(3,078,069)
საერთო მოგება		336,023	2,290,386
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(640,989)	(634,339)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(16,094)	(24,626)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(321,060)	1,631,421
საპროცენტო ხარჯი		(626,357)	(138,833)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(868,431)	227,945
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	29,997	7,715
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	-	(29,717)
მოგება დაბეგვრამდე		(1,785,851)	1,698,531
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		(1,785,851)	1,698,531

დირექტორი: დავით სილაგავა -----

30.09.2021

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2019	276,400	2,014,218	2,290,618
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,698,531	1,698,531
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	276,400	3,712,749	3,989,149
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,785,851)	(1,785,851)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	276,400	1,926,898	2,203,298

დირექტორი: დავით სილაგავა -----

30.09.2021

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
მოგება		(1,785,851)	1,698,531
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		58,013	42,464
საპროცენტო ხარჯი, ნეტო		626,357	138,833
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)		868,431	(227,945)
არასაოპერაციო შემოსავალი (Covid-19 შედეგად)		14,191	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	-	(218,859)	1,651,884
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(2,601,951)	1,121,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		120,216	325,878
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		3,626,280	(3,501,899)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(430,863)	(463,923)
გადახდილი პროცენტი		(626,357)	(138,833)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	-	(131,534)	(1,005,710)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(227,353)	(5,641,922)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(33)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	-	(227,353)	(5,641,955)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები		1,179,527	5,448,630
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	-	1,179,527	5,448,630
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(868,431)	227,945
წმინდა ზრდა ფულის და ფულის ექვივალენტებში		820,640	(1,199,035)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში		144,721	1,115,811
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს		96,930	144,721

დირექტორი: დავით სილაგავა -----

30.09.2021

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გალაქსი კონსტრაქშენ დაფუძნდა 2013 წლის 16 აპრილს. მისი სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია 404987056. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მეფე მირიანის ქუჩა, №23, 1-2 სართული.

შპს გალაქსი კონსტრაქშენ დამფუძნებლები არიან: დავით სილაგავა და ილია ნაზრიშვილი.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - დავით სილაგავა.

საზოგადოების მთავარი საქმიანობის საგანს წარმოადგენს - სამშენებლო პროექტების განხორციელება და აშენებული ბინების გაყიდვა.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2020	31 დეკ 2019	01 იან 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6727
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0597

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება 01.01.2017 წლამდე დაგროვილი წმინდა მოგების განაწილება, რომელიც უკვე დაბეგრილი იყო, როგორც წლიური მოგება, მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრება.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
-------	------------------------------

შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია 5 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები) და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები**2018 წლის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები**

გარკვეული კორექტირებები განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ასევე განხორციელდა გარკვეული რეკლასიფიკაციები ამავე თარიღით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრეზენტაციასთან.

- **კორექტირება 1:** საწარმომ 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მოახდინა ფულადი სახსრების გადაფასება, რის შედეგადაც 2018 საანგარიშგებო პერიოდში წარმოიშვა საკურსო ზარალი და შემცირდა ფული და ფულის ეკვივალენტების მუხლი (5,522 ლარი).
- **კორექტირება 2:** საწარმომ 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მოახდინა არასწორად დარიცხული საგადასახადო ხარჯის ამოღება საოპერაციო ხარჯებიდან და შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების შემცირება (1,043 ლარი).

შესაბამისი მუხლების დასახელებები ფინანსურ ანგარიშგებაში	ნაშთები 31.12.2018 კორ/რეკ.- მდე	კორექტირება 1	კორექტირება 1	ნაშთები 31.12.2018 კორ./რეკ.-შემდეგ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,121,333	(5,522)		1,115,811
საგადასახადო ვალდებულებები	12,192		(1,043)	11,149
დაგროვილი მოგება	2,018,697	(5,522)	1,043	2,014,218
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	578,676		(411)	578,265
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო	39,690	5,522	(632)	44,580

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
დასაშვები ღირებულება						
01.01.2019	-	100,606	110,287	56237	6,150	273,280
შემოსვლა	5,639,882	-	1,017	1,023	-	5,641,922
გასვლა	-	-	-	-	-	-
დასაშვები ღირებულება						
31.12.2019	5,639,882	100,606	111,304	57260	6,150	5,915,202
შემოსვლა	-	850	216,515	9988	-	227,354
გასვლა	-	-	-	-	-	-
დასაშვები ღირებულება						
31.12.2020	5,639,882	101,456	327,819	67249	6,150	6,142,556
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2019	-	(8,383)	(18,894)	(32,668)	(2,358)	(62,302)
ცვეთა	-	(8,383)	(20,828)	(12023)	(1,230)	(42,464)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2019	-	(16,766)	(39,722)	(44,691)	(3,588)	(104,767)
ცვეთა	-	(16,766)	(26,943)	(13,073)	(1,230)	(58,013)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2020	-	(33,532)	(66,665)	(57765)	(4,818)	(162,780)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2019	-	92,223	91,394	23,569	3,793	210,978
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	5,639,882	83,840	71,582	12,569	2,563	5,810,436
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	5,639,882	67,924	261,154	9484	1,333	5,979,776

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 01.01.2019	2 814	2 814
შემოსვლა	34	34
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	2 847	2 847
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	2 847	2 847
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	(677)	(677)
ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(677)	(677)
ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(677)	(677)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2019	2 137	2 137
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2 170	2 170
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	2 170	2 170

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	91,104	54,507	351,189
ეროვნული ვალუტა საზარათე ანგარიში	3,451	196	998
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,375	90,017	763,624
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	96,930	144,720	1,115,811

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,620	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	101	8	2,381
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	11,163	138,092	407,544
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,884	138,100	409,925

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
მზა პროდუქცია (დასრულებული მშენებლობა)	107,775	786,423	2,598,692
მშენებლობა წარმოების პროცესში	7,079,559	1,235,134	544,049
მშენებლობისთვის გამიზნული მიწა	-	2,563,825	2,563,825
სულ მარაგები	7,187,334	4,585,382	5,706,567

10. სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
სს საქართველოს ბანკი #1	დოლარი	9.50%	30.08.2022	4,015,384	5,448,630	-
სს საქართველოს ბანკი #1	დოლარი	9.50%	17.08.2020	2,612,773	-	-
სულ სესხები				6,628,157	5,448,630	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	-	-
ვალდებულებები საბაჟოს წინაშე	6,767	6,767	6,767
მიღებული ავანსები	5,315,316	1,689,311	5,136,883
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,322,083	1,696,078	5,143,650

12. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

	2020	2019
ბინების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,014,671	5,368,455
სულ	1,014,671	5,368,455

13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული ბინების თვითღირებულება	678,648	3,078,069
სულ	678,648	3,078,069

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	481,581	473,704
საპენსიო ხარჯი	24,088	8,447
გაზი და წყალი	6,977	2,452
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	5,351	
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	732	70
საკანცელარიო ხარჯები	1,063	825
კომპიუტერის ხარჯები	91	97
კომუნიკაციის ხარჯები	1,678	3,219
საწვავის ხარჯები	3,316	1,072
სანოტარო და საკონსულტაციო ხარჯები	22,271	10,273

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ცვეთა და ამორტიზაცია	58,013	21,636
რეესტრში გაწეული ხარჯი	-	4,809
საბანკო ხარჯები	16,584	91,538
ავტომატური რემონტის ხარჯები	4,544	1,784
სამეურნეო ხარჯი	312	2,454
ქონების გადასახადის ხარჯი	13,429	11,960
სხვა საერთო ხარჯები	959	
სულ	640,989	634,339

15. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

	2020	2019
რეკლამის ხარჯები	9,004	3,273
მარკეტინგული ხარჯები	7,090	21,353
მიწოდების სხვა ხარჯები	-	-
სულ	16,094	24,626

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	2020	2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,806	7,715
Covid-19 შეღავათი	14,191	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	29,997	7,715
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
დოკუმენტურად დაუდასტურებული ხარჯი	-	29,717
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	29,717

17. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები; ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

საწარმოს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ტრანზაქციები 2019 და 2018 წლებში, არ გააჩნია.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2020	2019
დირექტორის ანაზღაურება	156,250	125,000
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	158,334	205,836
სულ	314,584	330,836

18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანიტრალებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

19. ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს გალაქსი კონსტრაქშენ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>				
ძირითადი საშუალებები	5	5,979,776	5,810,436	210,978
არამატერიალური აქტივები	6	2,170	2,170	2,137
სულ გრძელვადიანი აქტივები:		5,981,946	5,812,606	213,115
<u>მიმდინარე აქტივები</u>				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	96,930	144,720	1,115,811
საგადასახადო აქტივი		869,444	452,772	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	17,884	138,100	463,978
მარაგები	9	7,187,334	4,585,383	5,706,566
სულ მიმდინარე აქტივები:		8,171,592	5,320,975	7,286,355
სულ აქტივები:		14,153,538	11,133,581	7,499,470
კაპიტალი და ვალდებულებები				
<u>კაპიტალი</u>				
საწესდებო კაპიტალი		276,400	276,400	276,400
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		1,926,899	3,712,748	2,014,218
სულ კაპიტალი:		2,203,299	3,989,148	2,290,618
<u>ვალდებულებები</u>				
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>				
სესხები	10	4,200,814	4,609,552	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		4,200,814	4,609,552	-
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>				
მოკლევადიანი სესხები	10	2,427,343	839,078	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,322,082	1,695,803	5,197,702
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	11,150
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		7,749,425	2,534,881	5,208,852
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,153,538	11,133,581	7,499,470

დირექტორი: დავით სილაგავა

დ.ს.ი



30.09.2021

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	12	1,014,671	5,368,455
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(678,648)	(3,078,069)
საერთო მოგება		336,023	2,290,386
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(640,989)	(634,339)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(16,094)	(24,626)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(321,060)	1,631,421
საპროცენტო ხარჯი		(626,357)	(138,833)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(868,431)	227,945
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	29,997	7,715
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	-	(29,717)
მოგება დაბეგვრამდე		(1,785,851)	1,698,531
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		(1,785,851)	1,698,531

დირექტორი: დავით სილაგავა

[Handwritten signature]



30.09.2021

შპს გალექსი კონსტრაქშენ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2019	276,400	2,014,218	2,290,618
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,698,531	1,698,531
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	276,400	3,712,749	3,989,149
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,785,851)	(1,785,851)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	276,400	1,926,898	2,203,298

დირექტორი: დავით სილაგავა

დავით სილაგავა



30.09.2021


შპს გალაქსი კონსტრაქშენ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
მოგება		(1,785,851)	1,698,531
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		58,013	42,464
საპროცენტო ხარჯი, ნეტო		626,357	138,833
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)		868,431	(227,945)
არასაოპერაციო შემოსავალი (Covid-19 შედეგად)		14,191	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებზე		(218,859)	1,651,884
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(2,601,951)	1,121,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		120,216	325,878
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		3,626,280	(3,501,899)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(430,863)	(463,923)
გადახდილი პროცენტი		(626,357)	(138,833)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(131,534)	(1,005,710)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(227,353)	(5,641,922)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(33)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(227,353)	(5,641,955)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები		1,179,527	5,448,630
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		1,179,527	5,448,630
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(868,431)	227,945
წმინდა ზრდა ფულის და ფულის ექვივალენტებში		820,640	(1,199,035)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში		144,721	1,115,811
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს		96,930	144,721

დირექტორი: დავით სილაგავა




30.09.2021